



ზოგადი ინფორმაცია 2014 წელს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის

და ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ეკონომიკური ზრდა

2014 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 4.8 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი რეგიონის ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მაღალია.


თუ შევადარებთ 2014 წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს ბოლო ათწლეულის (2004-2014) ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთან, ვნახავთ რომ განვლილ პერიოდში მართლაც უფრო მაღალი იყო ეკონომიკური ზრდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ეკონომიკური ზრდა ასევე მაღალი იყო საქართველოს მეზობელ და რეგიონის ქვეყნებშიც, რაც რა თქმა უნდა ხელს უწყობდა საქართველოში ეკონომიკურ აქტიურობას.



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ამ პერიოდში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებით საქართველო რეგიონის ქვეყნებთან მიმართებაში დაახლოებით შუა პოზიციებზე იყო და უფრო დაბალი ეკონომიკური ზრდა გვქონდა ვიდრე აზერბაიჯანში, ბელორუსში, ყაზახეთსა და სომხეთში.

2014 წელს ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შეიცვალა და საქართველოს რეგიონის ქვეყნებთან შედარებით ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა აქვს. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი რეგიონის ქვეყნებშიც მაღალი რომ ყოფილიყო, საქართველოში ეს კიდევ უფრო მაღალ ნიშნულს მიაღწევდა.

რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები 2014 წელს (წინასწარი)



მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა 2014 წლის განმავლობაში

გასული წლის პირველ სამ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 5.9 პროცენტი შეადგინა. თუმცა, ეკონომიკის ზრდის ტემპი რეგიონში განვითარებული მოვლენების გამო მეოთხე კვარტალში შემცირდა და 1.8 პროცენტი შეადგინა. 2014 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 29 187.0 მლნ ლარს შეადგენს.

ეკონომიკური აქტივობის შემცირება განაპირობა რუსეთში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთის ეკონომიკასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ქვეყნებში ეკონომიკის ვარდნამ. შედეგად შემცირდა ექსპორტი, ფულადი გზავნილები და ტურისტთა ნაკადები.

2014 წლის მონაცემებით ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (13.5%), საფინანსო საქმიანობა (10.0%), ოპერაციები უძრავი ქონებით (8.5%), კავშირგაბმულობა (7.1%), ტრანსპორტი (6.4%), ვაჭრობა (6.1%), სასტუმროები და რესტორნები (5.6%).

2014 წელს ეკონომიკურ ზრდაში აშკარა წარმართველი როლი ეჭირა კერძო სექტორს. 2014 წელს პროდუქციის გამოშვება სამეწარმეო სექტორში გაიზარდა 12.8 პროცენტით, ხოლო ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა - 11 ათასი ადამიანით. 2014 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 35.1 პროცენტით.

ფასები

2014 წლის დეკემბერში 2013 წლის დეკემბერთან შედარებით ინფლაციამ 2.0 პროცენტი შეადგინა. 12 თვიან ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის ორმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სურსათი და უალკოჰოლო სასმელებმა სამომხმარებლო ფასები 0.8 პროცენტით, ხოლო ჯანდაცვამ 0.7 პროცენტით გაზარდა.

2014 წელს საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 3.1 პროცენტი შეადგენა. ხოლო 2014 წლის მშპ-ის დეფლატორის მაჩვენებელი 3.8 პროცენტს შეადგენს.

ლარის გაცვლითი კურსი

2014 წლის დეკემბერში 2013 წლის დეკემბერთან შედარებით ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 7.7 პროცენტით გაუფასურდა. აღნიშნული გაუფასურება გამოწვეულია ერთის მხრივ ძლიერი დოლარით, ხოლო მეორე მხრივ რუსეთში და რუსეთის ეკონომიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული ეკონომიკების ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისით. აღნიშნულ პერიოდში ლარი გამყარდა ევროსთან მიმართებაში 4.5 პროცენტით. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების კურსთან, ასევე გამყარდა 12.3 პროცენტით.

საგარეო ვაჭრობა

2014 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 4.8 პროცენტით გაიზარდა. ექსპორტი შემცირდა 1.6 პროცენტით, ხოლო იმპორტი გაიზარდა 7.1 პროცენტით. ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა რუსეთსა (44.2%) და თურქეთში (30.9), ხოლო შემცირდა აზერბაიჯანში (23.3%) და უკრაინაში (27.3%).

2014 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა. გასულ წელთან შედარებით 24.2 პროცენტიდან 18.1 პროცენტამდე შემცირდა მსუბუქი ავტომობილების წილი, თუმცა კვლავ პირველ ადგილზე რჩება მთლიან ექსპორტში. შემდეგ მოდის ფეროშენადნობები 10.0%, სპილენძის მადნები და კონცენტრატები 8.7%, თხილი და კაკალი 6.4%, ყურძნის ნატურალური ღვინოები 6.3% და ა.შ.

უმნიშვნელო ცვლილება მოხდა ექსპორტის სტრუქტურაში ქვეყნების მიხედვით, 24.4 პროცენტიდან 19.0 პროცენტამდე შემცირდა აზერბაიჯანის წილი, თუმცა საქართველოსთვის მაინც უმსხვილეს საექსპორტო ქვეყანას წარმოადგენს. შემდეგ მოდიან სომხეთი 10.1%, რუსეთი 9.6%, თურქეთი 8.4%, აშშ 7.3% და ა.შ.

სახელმწიფო ვალი

მთავრობის ვალი მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში სტაბილურობით ხასიათდება და 2014 წელს მშპ-ს 35.5 პროცენტის დონეზეა. აქედან, საგარეო ვალი 26.8, ხოლო საშინაო ვალი 8.7 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი, სახელმწიფო ვალის კანონმდებლობით განსაზღვრული დასაშვებ ნორმასთან შედარებით (60%) მნიშვნელოვნად დაბალია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 35.1 პროცენტით გაიზარდა და 1 272.5 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. აქედან, ინვესტიციები ევროკავშირის ქვეყნებიდან 63.4 პროცენტით, ხოლო დსთ-ის ქვეყნებიდან 168.5 პროცენტით გაიზარდა. ქვეყნებს შორის ნიდერლანდები და აზერბაიჯანი ლიდერობს. ყველაზე დიდი უცხოური ინვესტიციები ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის და მშენებლობის სექტორებში ჩაიდო, შესაბამისად 343.4 მლნ დოლარი და 295.0 მლნ დოლარი.

ბიუჯეტი

2013-2014 წლებში საბიუჯეტო პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა მდგრადი ფისკალური პარამეტრების შენარჩუნება, ერთის მხრივ არსებული სოციალური გამოწვევებიდან გამომდინარე სათანადო ღონისძიებების დაფინანსება, ამავე დროს ეკონომიკის სტიმულირების მიზნებისათვის მეწარმეობის წახალისების, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის, ტურიზმის განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება.

საჯარო ფინანსების მართვის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების დაფინანსებასთან ერთად ფისკალური პარამეტრების მდგრადობის, მათ შორის დეფიციტის დაბალი მაჩვენებლის უზრუნველყოფა.

2014 წლის ნაერთი ბიუჯეტის ფაქტიური მაჩვენებლები

დასახელება	2014 წლის ფაქტი (მლნ ლარი)
შემოსავლები	8,118.8
გადასახადები	7,241.6
სხვა შემოსავლები	597.8
გრანტები	279.5
ხარჯები	7,369.3
შრომის ანაზღაურება	1,521.9
საქონელი და მომსახურება	1,143.6
პროცენტი	248.4
სუბსიდიები	625.8
გრანტები	12.2
სოციალური უზრუნველყოფა	2,791.2
სხვა ხარჯები	1,026.3
საოპერაციო სალდო	749.5
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1,329.2
ზრდა	1,443.9
კლება	-114.7
მთლიანი სალდო	-579.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	216.1
ზრდა	274.3
კლება	-58.2
ვალდებულებების ცვლილება	1,001.0
საშინაო	507.6
ზრდა	572.8
კლება	-65.2
საგარეო	493.4
ზრდა	996.9
კლება	-503.4
ნაშთის ცვლილება	205.3
მშპ	29 187
დეფიციტი %	2.0%

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, დეფიციტი განისაზღვრება, როგორც მთლიანი სალდო, რომელი წარმოადგენს საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის არსებულ უარყოფით სხვაობას, ხოლო თავის მხრივ საოპერაციო სალდო მიიღება ბიუჯეტის შემოსაღებისა და ხარჯების სხვაობით. აღნიშნული წესის თანახმად ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 2014 წლისათვის შეადგენდა მშპ-ის 2.0%-ს.

საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ნაწილი იყენებს დეფიციტის მონაცემებს GFSM 1986 კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც განსხვავებულად აღრიცხავს დეფიციტს GFSM 2001 კლასიფიკაციასთან შედარებით, რის გამოც მნიშვნელოვანია მონაცემების გამოქვეყნება GFSM 1986 კლასიფიკაციის მიხედვითაც.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობისას, დეფიციტის გამოსათვლელად გამოიყენება ასევე GFSM 1986 კლასიფიკაცია. 2012 წელს, IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში ურთიერთგაგების ტექნიკური მემორანდუმით ასევე განისაზღვრა, რომ დეფიციტის გამოთვლისას მონაწილეობას დაბრუნების ქვეანგარიშიც (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზედმეტად გადახდილი გადასახადების დასაბრუნებლად ხაზინის ერთიან ანგარიშთა სისტემაში არსებობს დაბრუნების ქვეანგარიში, რომელზეც პერიოდულად მიიმართება საგადასახადო შემოსავლების ნაწილი და ამ ანგარიშიდან ხორციელდება წლის მანძილზე გადასახადის გადამახდელების მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნება), რომელიც საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მონაწილეობას არ იღებს წლიურ ანგარიშსა და ანგარიშგებაში. 2014 წლის დეკემბრის ბოლო დღეებში მიღებული შემოსავლებიდან ქვეანგარიშზე გადატანილი სახსრების გათვალისწინებით, ანგარიშზე წმინდა დაგროვებამ შეადგინა 82.2 მლნ ლარი. შედეგად დეფიციტი მშპ-ის მიმართ დაფიქსირა 2.94%.

GFSM 1986	
შემოსავლები	8,118.9
ხარჯები	7,399.1
საოპერაციო სალდო	719.8
კაპიტალური ხარჯები და წმინდა დაკრედიტება	1,661.0
კაპიტალური ხარჯები	1,443.9
წმინდა დაკრედიტება	217.1
მთლიანი სალდო	-941.3
დაფინანსება	941.3
ვალის აღება	1,030.8
პრივატიზაცია	115.7
ნაშთის ცვლილება	205.3
მშპ	29,187.0
დეფიციტი/მშპ	3.2%

GFSM 1986 (IMF TMU)	
შემოსავლები	8,118.9
ხარჯები	7,399.1
საოპერაციო სალდო	719.8
კაპიტალური ხარჯები და წმინდა დაკრედიტება	1,661.0
კაპიტალური ხარჯები	1,443.9
წმინდა დაკრედიტება	217.1
მთლიანი სალდო	-941.3
დაფინანსება	941.3
ვალის აღება	1,030.8
პრივატიზაცია	115.7
ნაშთის ცვლილება	205.3
დაბრუნების ქვეანგარიში	82.2
მშპ	29,187.0
დეფიციტი/მშპ	2.94%

2014 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 909 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 8 118 838,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,7%.

- ✓ **გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 230 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 7 241 556,8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100,2%.
- ✓ **გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 144 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 279 480,8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 194,1%.
- ✓ **სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 535 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 597 800,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 111,7%.


არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 114 738,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (100 000,0 ათასი ლარი) 114,7%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 58 209,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70 000,0 ათასი ლარი) 83,2%-ია.

2014 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი



დასახელება	ნაერთი ბიუჯეტი			
	2014 წლის გეგმა	2014 წლის ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	7,909,000.0	8,118,838.2	209,838.2	102.7
გადასახადები	7,230,000.0	7,241,556.8	11,556.8	100.2
საშემოსავლო გადასახადი	1,905,000.0	1,938,794.5	33,794.5	101.8
მოგების გადასახადი	912,000.0	828,823.2	-83,176.8	90.9
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,274,000.0	3,298,518.3	24,518.3	100.7
აქციზი	739,000.0	810,209.1	71,209.1	109.6
იმპორტის გადასახადი	100,000.0	94,883.2	-5,116.8	94.9
ქონების გადასახადი	275,000.0	245,876.9	-29,123.1	89.4
სხვა გადასახადი	25,000.0	24,451.7	-548.3	97.8
გრანტები	144,000.0	279,480.8	135,480.8	194.1
სხვა შემოსავლები	535,000.0	597,800.6	62,800.6	111.7



2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულდა როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების თვალსაზრისით. მათ შორის გადასახადების სახით მიღებული შემოსავლები შესრულდა გადაჭარბებით (27 მილიონი ლარი).

ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში 99.2%-ით შესრულება, რაც ბოლო წლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.



ინფორმაცია საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 319 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 7 434 637,5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101,6%.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2014 წლის გეგმა	2014 წლის ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	7,319,000.0	7,434,637.5	115,637.5	101.6
გადასახადები	6,820,000.0	6,846,964.2	26,964.2	100.4
გრანტები	144,000.0	278,734.5	134,734.5	193.6
სხვა შემოსავლები	355,000.0	308,938.8	-46,061.2	87.0

- **გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 820 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 6 846 964,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100,4%.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ათასი ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	2014 წლის გეგმა	2014 წლის ფაქტი	+/-	%
გადასახადები	6,820,000.0	6,846,964.2	26,964.2	100.4
საშემოსავლო გადასახადი	1,770,000.0	1,790,379.5	20,379.5	101.2
მოგების გადასახადი	912,000.0	828,823.2	-83,176.8	90.9
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,274,000.0	3,298,518.3	24,518.3	100.7
აქციზი	739,000.0	810,209.1	71,209.1	109.6
იმპორტის გადასახადი	100,000.0	94,883.2	-5,116.8	94.9
სხვა გადასახადი	25,000.0	24,150.9	-849.1	96.6

- ამასთან, 2014 წლის 30-31 დეკემბერს გადასახადების სახით მიღებული შემოსავლებიდან დაბრუნების ქვეანგარიშზე გადატანილი სახსრების გათვალისწინებით დაბრუნების ქვეანგარიშზე ნაშთის წმინდა ცვლილებამ შეადგინა 82.2 მლნ ლარი.

დაბრუნების ქვეანგარიშზე თანხების გადატანა ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და გამოიყენება წლის განმავლობაში ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნებისათვის. ამასთან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად აღნიშნულ ქვეანგარიშზე გადატანილი სახსრები არ ხვდება წლიურ ანგარიშსა და ანგარიშგებაში.

დაბრუნების ქვეანგარიში

მლნ ლარი

	საწყისი ნაშთი	საბოლოო ნაშთი	წმინდა ცვლილება ანგარიშზე
2010 წელი	26.0	186.9	160.9
2011 წელი	186.9	45.7	-141.2
2012 წელი	45.7	18.8	-26.9
2013 წელი	18.8	1.5	-17.3
2014 წელი	1.5	83.7	82.2

2014 წლის განმავლობაში დაბრუნების ქვეანგარიშზე მიმართულმა თანხამ შეადგინა 323.3 მლნ ლარი, ხოლო ამ ანგარიშიდან თანხების დაბრუნებამ შეადგინა 241.0 მლნ ლარი, მათ შორის: დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში დაბრუნებული საშემოსავლო გადასახადის მოცულობამ შეადგინა 128.3 მლნ ლარი (სულ დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თანხა დაუბრუნდა 464 025 მოქალაქეს), სხვა გადასახადების დაბრუნების მოცულობამ (ძირითად დამატებითი ღირებულების გადასახადი - 111.6 მლნ ლარი) 112.7 მლნ ლარი.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 144 000,0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 278 734,5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 193,6%, მათ შორის 39 535.3 ათასი ლარი მობილიზებული იქნა ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების სახით, 198 986.0 ათასი ლარი მიღებული იქნა საინვესტიციო პროექტების ფარგლებში, ხოლო 40 213.2 ათასი ლარი ხაზინის ანგარიშზე რიცხული ე.წ. რეესტრის გრანტების ფარგლებში.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 355 000,0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 308 938,8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 87,0%. საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის დაბალი მაჩვენებელი განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 28 663,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (89 600,0 ათასი ლარი) 32,0%-ია. აქედან,
 - **პროცენტები** - 22 091,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (28 000,0 ათასი ლარი) 78,9%-ს შეადგენს. ფაქტიური შესრულების დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შპს „ენერგოტრანს“-ს

თანხის ჩარიცხვა გადაუვადდა 2015 წლის დეკემბრამდე. აღნიშნული გადავადება განპირობებული იყო თურქეთში მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზზე, მომხდარი ავარიის გამო ელექტროენერჯის გატარების შეფერხების შედეგად, ექსპორტის მომსახურებიდან დაგეგმილი შემოსავლების მიუღებლობით.


▪ **დივიდენდების** სახით მობილიზებულია 218,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (55 000,0 ათასი ლარი) 0,4%-ია. ფაქტიური შესრულების დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია იმ ფაქტორით, რომ შემოსავლების მიღების დინამიკის გათვალისწინებით არ განხორციელებულა მსჯელობა საწარმოების წმინდა მოგების განაწილების თაობაზე. ამასთან, მოგების საწარმოების განკარგულებაში დატოვება ხელს უწყობს ამ საწარმოების ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებისა და აქტივობის წახალისებას, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობის ფაქტორია.

- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 73 912,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (100 000,0 ათასი ლარი) 73,9%-ია. ფაქტიური შესრულების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შემცირებულია შემოსავალი სანქციებიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო, კერძოდ, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის სახეში, რაც ძირითადად გამოწვეულია 2013 წელს ზოგიერთი სახეობის ჯარიმის ოდენობის შემცირებით, აგრეთვე მნიშვნელოვნადაა შემცირებული შემოსავალი სანქციებიდან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების გამო.
- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 101 294,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (95 000,0 ათასი ლარი) 106,6%-ია. აღნიშნულ მუხლში ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ანგარიშზე არსებული ნაშთიდან დაგეგმილი იყო 50 000,0 ათასი ლარის მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში. წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების დინამიკის გათვალისწინებით, 2014 წლის მონაცემებით სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართა 32 000,0 ათასი ლარი (სსიპ - შემოსავლების სამსახური 15 მლნ ლარი, სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო - 14 მლნ ლარი, სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო - 2 მლნ ლარი და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო - 1 მლნ ლარი). შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებში აგრეთვე აღრიცხულია წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები. აღნიშნული თანხა შეადგენს 24 814,8 ათას ლარს.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 80 627,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (80 000,0 ათასი ლარი) 100,8%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 72 139,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (70 000,0 ათასი ლარი) 103,1%-ია.


2014 სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები




2014 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი (წლიური გეგმის 99.2%) ყველაზე მაღალია ბოლო წლების მანძილზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2014 წელს (ასევე 2013 წელს) თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილება არ განხორციელებულა და არ მომხდარა 2013 წლამდე არსებული პრაქტიკის გამოყენება როდესაც წლის ბოლოს კანონში ცვლილების შეტანით ხდებოდა ბიუჯეტის საკასო შესრულებასთან წლიური გეგმის გასწორება. 2011 წელს წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილება განხორციელდა 3 ჯერ (ბოლო კანონის ცვლილება დამტკიცდა 2011 წლის 24 ნოემბერს), ხოლო 2012 წელს - 4 ჯერ (ბოლო კანონის ცვლილება დამტკიცდა 2012 წლის 17 დეკემბერს).

რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვის ტენდენციას, მე-4 კვარტალში ხარჯვის მასშტაბები ყოველთვის მეტია წინა კვარტალებთან შედარებით, 2014 წლის მე-4 კვარტალში დაიხარჯა მთლიანი გადასახდელების 31% (2011 წელს მე-4 კვარტალის გადასახდელები 33%-ს აღწევდა). ბიუჯეტის მეტი თანაბარი ხარჯვის მიღწევა სასურველია, თუმცა მსგავსი სეზონურობა საქართველოს საბიუჯეტო პროცესისათვის უცხო არ არის, ამასთან ამას გავლენა არ ქონია ფულის მასაზე. თავად ეროვნული ბანკის ოპერაციებითაც ფულის მასა გაიზარდა. რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ, რომ კომერციულმა ბანკებმა 2014 წლის 31 დეკემბერს დამატებით 100 მლნ ლარი ისესხეს ეროვნული ბანკისგან, რაც იმის დასტურია რომ მიმოქცევაში ჭარბი ლარი არ ყოფილა და პირიქით კომერციულ ბანკებს ქონდათ მოთხოვნა ლარზე.

2011-2014 წლების ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლები კვარტლების მიხედვით






საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა და ფაქტიური ხარჯები 2009-2014 წლებში



2013-2014 წლებში ბიუჯეტის სტრუქტურაში შეიმჩნეოდა ზრდა სოციალური მიმართულებით, რაც იმ პერიოდისათვის არსებულ გამოწვევებთან შესაბამისობაში იყო. 2013-2014 წლებში შემოღებული იქნა ჯანმრთელობის დაცვის უნივერსალური პროგრამა, რითაც უზურნველყოფილია საქართველოს ყველა მოქალაქის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დაფინანსება სახელმწიფო მხრიდან (მანამდე არსებული დაზღვევის პროგრამების ფარგლებში ბენეფიციართა რაოდენობა არ აჭარბებდა 1.6 მლნ ადამიანს), მოხდა სოციალური დახმარების გაორმაგება, გაიზარდა დევნილთა შემწეობები და სხვა სოციალური გასაცემლები. მნიშვნელოვნად გაიზარდა


სოფლის მეურნეობის სფეროს დაფინანსება, დაიწყო მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა, გაიზარდა განათლების მიმართულებით ღონისძიებების დაფინანსება (როგორც უმაღლესი განათლების, ისე მეცნიერების მიმართულებით).

ზოგიერთი სამინისტროს დაფინანსების დინამიკა 2009-2014 წლებში



შენიშვნა: სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2012 წლის ბიუჯეტი, დეკემბრში კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად გაიზარდა 80.0 მლნ ლარზე მეტით

შრომის ანაზღაურება



2012 წელთან შედარებით 2013-2014 წლებში შრომის ანაზღაურების ფონდი გაზრდილია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ზრდა ძირითადად გამოწვეულია თანამდებობრივი სარგოების მოწესრიგებით სასამართლო სისტემაში, ძალოვან უწყებებში (თავდაცვა, შსს), სასჯელაღსრულების სისტემაში და პროკურატურაში, ასევე ახალი უწყებების შექმნით, მათ შორის გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მიმართულებით. 2014 წელს პრემიის და დანამატის სახით გაცემული თანხები 13.6 მლნ ლარით ნაკლებია 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

სახელმწიფო ვალების ალება და დაფარვა

ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1 569 680.6 ათასი ლარი, მათ შორის:

- 572 815.6 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 515 148.0 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდაჭერი კრედიტები;
- 481 716.9 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა

ათას ლარებში

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები	515,148.0
WB	159,841.7
IMF	214,824.9
ADB	140,481.5
საინვესტიციო, შეღავათიანმა კრედიტები	481,716.9
IFAD	7,964.5
WB	103,530.2
EBRD	21,572.2
ADB	163,297.7
EIB	82,646.7
საფრანგეთი	3,470.3
იაპონია	89,201.8
გერმანია	10,033.5
სულ საგარეო კრედიტები	996,864.8

საშინაო ფასიანი ქაღალდები

2014 წლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 38 აუქციონი, რომლებზეც რეალიზებული იყო სახაზინო ვალდებულება და სახაზინო ობლიგაცია 898 490.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულებით, საიდანაც 43.9% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 33.5% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 18.1% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 4.5% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით ბიუჯეტში მიღებულმა თანხამ შეადგინა 879 313.4 ათასი ლარი, მათ შორის ნომინალს ზევით გადახდილმა თანხამ 3 160.5 ათასი ლარი. ამავე პერიოდში დაფარულ იქნა 310 000.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და ობლიგაციები, მათ შორის ძირითადი თანხის დაფარვამ შეადგინა 303 337.3 ათასი ლარი, ხოლო დისკონტის თანხამ 6 662.7 ათასი ლარი. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ ძირითადი თანხის მიხედვით შეადგინა 572 815.6 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი პარამეტრის 95.5 %-ს შეადგენს.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N176


განკარგულებით განისაზღვრა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესი. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისთვის 2014 წელს დაგეგმილი 200.0 მლნ ლარის ემისიიდან, საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 172 835.1 ათასი ლარი შეადგინა. ეს თანხა სრულად განთავსდა ვადიანი დეპოზიტის სახით, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში, ფასიანი ქაღალდების ვადიანობის შესაბამისად, კუპონის განაკვეთს დამატებული 1 საპროცენტო პუნქტი.

ვალის მომსახურება და დაფარვა

2014 წლის მანძილზე სახელმწიფოს მიერ ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 779.2 მლნ ლარი, მათ შორის:

- საგარეო ვალდებულებები - 639.0 მლნ ლარი
 - ✓ მომსახურება - 139.5 მლნ ლარი;
 - ✓ დაფარვა - 499.5 მლნ ლარი;
- საშინაო ვალდებულებები - 140.2 მლნ ლარი;
 - ✓ მომსახურება - 105.2 მლნ ლარი;
 - ✓ დაფარვა - 35.0 მლნ ლარი;

სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2009-2014 წლებში



სარეზერვო ფონდები და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 50 000.0 ათასი ლარით. ამასთან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-4 ნაწილის და „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებით განხორციელდა სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებიდან (ძირითადად ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე) თანხის გადანაწილება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში და მთავრობის სარეზერვო ფონდი გაიზარდა 11 252.9 ათასი ლარით. ასევე, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი გაიზარდა 30 000.0 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფონდის ასიგნებები წლის ბოლოს განისაზღვრა 91 252.9 ათასი ლარის ოდენობით. საქართველოს მთავრობის განკარგულებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 88 005.5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 82 741.4 ათასი ლარი.

✓ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

2014 წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 3 708.0 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო სამსახურის მიერ გადარიცხულმა თანხებმა - 3 672.2 ათასი ლარი.

✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

საქართველოს კანონით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 250 000.0 ათასი ლარით. ამასთან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებით განხორციელდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებიდან თანხის გადანაწილება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი გაიზარდა 25 000.0 ათასი ლარით. ასევე, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი გაიზარდა 45 000.0 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფონდის ასიგნებები წლის ბოლოს განისაზღვრა 320 000.0 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 317 700.9 ათასი ლარი, ხოლო სახაზინო სამსახურის მიერ გადარიცხულმა თანხებმა - 307 567.3 ათასი ლარი, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 203.3 მლნ ლარი. (50.0 მლნ ლარი თვითმმართველ ერთეულებზე ასევე გადანაწილდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში)

ინფორმაცია 2014 წელს სახელმწიფო ხაზინაში ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

მლნ ლარი

	01.01.2014	01.01.2015
სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი ხაზინის ერთიან ანგარიშზე, დაბრუნების ქვეანგარიში	287.1	261.6
სახაზინო სამსახურის სავალუტო ანგარიში	146.8	180.1
მიზნობრივი გრანტების ნაშთი	9.2	19.3
ხაზინის ანგარიშზე რიცხული დეპოზიტური ნაშთი	36.7	38.4
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და ავტონომიური რესპუბლიკების კუთვნილი თანხები	6.9	4.8
სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიში კომერციულ ბანკებში (ეკონომიკის სტიმულირება)		172.8
სულ	488.3	760.8